



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

#### კანონპროექტი სახელმწიფო ქონების შესახებ

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, შესაძლოა, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის 36-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები, რომელთა თანახმად:

- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების/წიაღითსარგებლობის ლიცენზიის მფლობელს აუქციონის გარეშე გადაეცემა სახელმწიფო ქონება სასყიდლიან სარგებლობაში;
- ქონების სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ლიცენზიის ფარგლებში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების მიზნით;
- ქონების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, არაუმეტეს 49 წლის ვადით;
- სარგებლობაში გადაცემის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადას;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების/წიაღითსარგებლობის ლიცენზიის გაუქმება გამოიწვევს ქონების სარგებლობის უფლების შეწყვეტას;
- სარგებლობაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 3 (სამ) ჰექტარს.

## შესაძლო ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში

2019 წლის 23 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში წარდგენილ იქნა შრომის კოდექსის კანონპროექტი, რომლის მიხედვით, შესაძლოა დადგინდეს ზეგანაკვეთური სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა.

მოსალოდნელი ცვლილებების თანახმად, დაუშვებელია დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ხანგრძლივობა აღემატებოდეს:

- დღე-ღამის განმავლობაში 2 საათს;
- კვირის განმავლობაში 8 საათს, ხოლო სპეციფიკური რეჟიმის მქონე საწარმოებისთვის - 6 საათს.

მოქმედი კანონი არ ადგენს ზეგანაკვეთური სამუშაო საათების მაქსიმალურ ოდენობას, თუმცა განსაზღვრულია ზეგანაკვეთური სამუშაოს მნიშვნელობა, რომლის მიხედვით, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დროის ის მონაკვეთი, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 40 საათს.

## კანონი მედიაციის შესახებ

2019 წლის 27 სექტემბერს გამოქვეყნდა კანონი მედიაციის შესახებ, რომელიც დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის წახალისებისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესებს, მედიატორის უფლებამოსილებებს და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მედიაციის დაწყების წინაპირობებია:

- მხარეთა შეთანხმება მედიაციის თაობაზე;
- კანონით გათვალისწინებული საფუძვლები;
- მხარეთა შუამდგომლობა სასამართლო პროცესზე;
- უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემა.

კონფიდენციალურია მედიაციის პროცესი და ასევე, ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა ან არსებითად გამომდინარეობს პროცესიდან.

კერძო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება მხარეებსა და მედიატორს შორის დადებული შეთანხმებით.

კერძო მედიაციის დაწყების მომენტიდან ჩერდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა მედიაციის დასრულებამდე, მედიაციის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში. კერძო მედიაციის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში დრო, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებული იყო, აღნიშნულ ვადაში არ ჩაითვლება.

## ტაქსის საშუალებით მგზავრთა გადაყვანის შესახებ რეგულაცია

2019 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა თბილისის მასშტაბით მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებული ახალი რეგულაცია, რომლის თანახმად, „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ კანონს დაემატა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით მგზავრთა გადაყვანის ნებართვა და განისაზღვრა მისი გაცემის წესი.

რეგულაციის თანახმად, თბილისის მასშტაბით მხოლოდ თეთრი ფერის ავტომობილებს მიენიჭათ უფლება, განათავსონ ტაქსის საცნობი ნიშანი. ამ წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

გამოახების შემთხვევაში, მგზავრთა გადაყვანა დასაშვებია სხვა ვიზუალის მქონე ავტომობილებისთვის, თუმცა, აკრძალულია მათ მიერ მგზავრის ქუჩიდან აყვანა.

## სასამართლო პრაქტიკა

2019 წლის 13 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩანიშნული სხდომის სხვა დროისათვის გადადების თხოვნით განცხადებით მიმართა სასამართლოს მხარის წარმომადგენელმა, რადგან ჩანიშნულ სხდომაზე ვერც ის მიიღებდა მონაწილეობას საქმის განხილვაში, სასწავლო კურსის გავლის გამო და ვერც აპელანტი, ავადმყოფობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება არ შეიცავდა საკმარის დასაბუთებას. ამიტომ, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საპატიო მიზეზად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას.

საკასაციო სასამართლომ იმსჯელა, რომ აპელანტმა შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები და მის შესაბამისად, შეატყობინა სააპელაციო პალატას, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ. სასამართლოს განმარტებით, აპელანტის კანონიერი უფლება - მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში შეილახა, როდესაც სხდომა დაინიშნა ისეთ დროს, როდესაც აპელანტის წარმომადგენელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოცხადებულიყო პროცესზე. ასეთ ვითარებაში მხარის გამოუცხადებლობის მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება საკასაციო სასამართლომ არამართლობიერად შეაფასა.

# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## **თბილისი**

### **ბიზნეს ცენტრი King David**

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 286 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.